წმიდათა ნაკვალევზე

ჯვარპატიოსანი – უჯარმა

2006 წლის 20 მაისს, ჯვარპატიოსნობის დღესასწაულზე, ჩვენმა მომლოცველთა ჯგუფმა, ალექსანდრე კოკოზაშვილის, ზურაბ ჩოქურის, გიორგი ნოზაძის, მალხაზ კოტორაშვილის, ტარიელ ყამარაულის და თქვენი მონა-მორჩილის შემადგენლობით, სართიჭალის მთავარანგელოსთა ეკლესიიდან დილით ადრე გეზი ავიღეთ



უჯარმისაკენ. გზად შემოგვიერთდა არჩილ ზითანიშვილი. ასე რომ ჩვენი გუნდი ისევ შვიდი კაცისაგან შედგებოდა.

მანძილი უჯარმის ციხე-ქალაქამდე, რომელიც დაახლოებით 17 კილომეტრს უდრის, ზუსტად 3 საათში დავფარეთ. მისვლისთანავე ციხე-ქალაქში მდებარე ჯვარპატიოსნის ეკლესიას მივაშურეთ და მამა შალვას მიერ ნაჩუქარი სანთლები დავანთეთ. ჩვენი ეკლესიის სტიქაროსანმა მალხაზ კოტორაშვილმა დღესასწაულთან დაკავშირებული ლოცვანი წაიკითხა. ყველამ ერთად ვადიდეთ უფალი, შევთხოვეთ

ჯვარპატიოსანს ჩვენი სამშობლოს და ერის მფარველობა, მშვიდობა ქვეყანაზე და ადამიანთა კეთილდღეობა.

უჯარმის ციხე-ქალაქი თხუთმეტ საუკუნეზე მეტია რაც დგას სამშობლოს სადარაჯოზე. "ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ქალაქის დაარსება მიეწერება ქართლის მეფე ასფაგურს (III საუკუნე). IV საუკუნიდან იგი კახეთის საერისთავოს ცენტრი გახდა. უჯარმა იმ მაგისტრალზე მდებარეობდა, რომელიც მთიანეთს (თიანეთი, ფშავი, ხევსურეთი) კახეთის ბართან უხსნიდა გზას. იგი მდებარეობდა იმ სავაჭრო

მაგისტრალზე, რომელიც აღმოსავლეთ ამიერკავკასიას, შიდა კახეთის გზით, გომბორის უღელტეხილით, მტკვრის აუზთან და კერძოდ, თბილის-მცხეთასთან აკავშირებდა. IV საუკუნის პირველ ნახევარში, უჯარმა უკვე მეორე ქალაქი იყო მცხეთის შემდეგ. V საუკუნის მეორე ნახევარში ვახტანგ გორგასალი ქალაქ უჯარმას "ნაშენებითა უზომოითა" ამაგრებს, აშენებს სამეფო რეზიდენციას, რომლის უნიკალური არქიტექტურული კომპლექსი დღემდეა შემორჩენილი და დროებით აქ გადმოაქვს სამეფო რეზიდენცია. უფრო გვიანაც, VII საუკუნის დასაწყისში უჯარმა ქართლის ახალ დედაქალაქ თბილისთან და მცხეთასთან ერთად სამეფოს უდიდეს ქალაქად გვევლინება.

უჯარმის ციხე-ქალაქმა ქრისტიანული სარწმუნოების დაცვის და გაძლიერების საქმეში უდიდესი მისია შეასრულა.

დღესაც დგას მედგრად, სიყვარულისა და ჭეშმარიტების ფერი, საუკუნეების ღირსეული მატიანეთი დამძიმებული ციხე-ქალაქი, გადაჰყურებს მჩქეფარე იორს და ქართველებისაგან სამშობლოსადმი ისეთივე გულმხურვალე სიყვარულს ითხოვს, როგორც ეს თხუთმეტი საუკუნის წინ იყო.....

.....ქართველებისაგანო ხალხო!....

.....ვაართ კი დღეს ქართველები?...

.....გვიდგას კიდევ ქართების სისხლი?.....

ვიდექით ასე გაქვავებული სახეებით, თანამედროვე ქვაზე "მწერალთა" ხელით დამახინჯებულ ჯვარპატიოსნის სახელობის ეკლესიაში და მალხაზ კოტორაშვილის ნაკადულივით მოდუდუნე ხმით წაკითხულ ლოცვებით შევღაღადებდით უფალს და დედას ღვთისას რათა გადაერჩინა ჩვენი სამშობლო, ჩვენი საქართველო განადგურებისა და გადაჯიშებისაგან.

კიდევ ერთხელ შემოვიარეთ წმინდა ციხე-ქალაქი და ნაშუადღევს წამოვედით უჯარმიდან.

<u>ნინოწმინდა</u>

2006 წლის 3 ივნისს დილით სართიჭალის მთავარანგელოსთა ეკლესიიდან ჩვენი მომლოცველთა ჯგუფი ნინოწმინდისაკენ გაეშურა. ამჟამად ჯგუფში ქალბატონებიც გვახლდნენ: თამარ ზითანიშვილი, მაკა ანუაშვილი, ანა სამხარაული და მეგი კოკორაშვილი. მამაკაცები ისევ შვიდნი ვიყავით: ალექსანდრე კოკოზაშვილი, მალხაზ კოტორაშვილი, ზურაბ ჩოქური, გიორგი ნოზაძე, ტარიელ ყამარაული, დავით ზითანიშვილი და თქვენი მონა-მორჩილი. გადავწყვიტეთ ნინოწმინდაში პატარძეულის

მთებისა და ტყეების შემოვლით ჩავსულიყავით. ამიტომ გეზი პატარძეულის წმინდა ევსტათი მცხეთელის ტაძრისაკენ ავიღეთ, რომელიც მაღალ მთაზეა აგებული.

ისტორია არაერთხელ ადასტურებს, რომ როდესაც საქართველოს გაუჭირდებოდა, მის მოსახლეობას უფალი ქრისტიანულ რწმენაში გასამტკიცებლად ხშირად არაქართველებს მოუვლენდა ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი წმინდანი გახლდათ ევსტათი, შემდგომში მცხეთელად წოდებული. იგი ჩამომავლობით სპარსი იყო და გახლდათ შვილი მოგვისა, ესე იგი ცეცხლის თაყვანისმცემელთა მღვდლისა. ევსტათის სურდა, რომ მოგვი გამხდარიყო, მაგრამ დარწმუნდა რა ცეცხლის თაყვანისმცემელთა რელიგიის არარაობაში, შეიყვარა ჭეშმარიტი ღმერთი და გახდა ქრისტიანი. იგი ქრისტიანობის გზაზე დააყენა მცხეთის საკათოლიკოსო ტაძრის იმდროინდელმა არქიდიაკონმა, შემდეგ კი კათოლიკოსობის ხარისხზე ამაღლებულმა სამოელმა.

სპარსელებმა არ აპატიეს ევსტათის ქრისტიანობის მიღება და მოსთხოვეს დაეტოვებინა იგი და კვლავ ეღიარებინა ცეცხლთაყვანისმცემლობა. ევსტათიმ უარი უთხრა მათ, რის გამოც მას 589 წლის 29 ივლისს თავი მოჰკვეთეს.



წმინდა ევსტათის გვამი ასაფლავია მცხეთის საკათოლიკოსო ტაძრის ტრაპეზის ქვეშ. მისი მეორე სამშობლო შეიქმნა მცხეთა და ამის გამო ეწოდება მას მცხეთელი. პატარძეულელებს შეუკეთებიათ ტაძარი, იგი სუფთა და მოვლილია. ჩვენ ვილოცეთ ტაძარში და გზა გავნაგრძეთ ნინოწმინდისკენ.

მთა-მთა და ტყე-ტყე წმინდა ნინოს ნაკვალევზე სიარულით მივედით ნინოწმინდამდე. სოფლის სახელწოდება, საქართველოს განმანათებლის – წმინდა ნინოს სახელთანაა დაკავშირებული. აქ წმინდა ნინო შემობრძანდა კაწარეთიდან და იქადაგა ქრისტიანობა.

ნინოწმინდაში წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალმა დიდი გუმბათიანი ტაძარი ააგებინა, რომელსაც ჯვრის ფორმა აქვს და არქიტექტურული თვალსაზრისით ანალოგი არ მოეძებნება. ჩვენს წინაპრებს მრავალგზის აღუდგენიათ მტრის შემოსევებისა და მიწისძვრის შედეგად დანგრეული ტაძარი. 1750 წელს ეკლესიისთვის ძველი გუმბათი ახლით შეუცვლიათ. ამ გუმბათის შესახებ მეფე ერეკლე მეორეს აღმშენებლისათვის ასე უთქვამს, რომ “ეკლესია შენ დაგინგრევია და არა აგიშენებია, საპალნე დიდი დაგიდგამს, ფეხები გამოგიცლიაო”. მეფის სიტყვები მალე აღსრულებულა. 1824 წლის

მიწისძვრის შედეგად ეკლესიის კედლებს გუმბათის სიმძიმისათვის ვერ გაუძლიათ და გუმბათი ჩამოქცეულა. შემორჩენილია მხოლოდ საკურთხეველი, რომელიც ეკლესიის

მესამედს შეადგენს. საკურთხეველში შემონახულია XVIII საუკუნის ღვთიმშობლის ფრესკა მთავარანგელოზებთან ერთად და მოციქულთა ფრესკები. ტაძრის ეზო გარშემორტყმულიაXVIII საუკუნის კოშკებიანი გალავნით. ეზოში XVI საუკუნის მაღალი სამრეკლოა.

შევხვდით და გავესაუბრეთ მონასტრის მღვდელს მამა თეიმურაზს, ვილოცეთ და ნაშუადღევს გეზი სართიჭალისაკენ ავიღეთ.

<u>კაწარეთის სამება</u>

2006 წლის 15 ივლისს დილის რვის ნახევარზე სართიჭალის მთავარანგელოსების ეკლესიიდან მომლოცველთა ოცკაციანი ჯგუფი გაუდგა გზას კაწარეთის სამებისაკენ. ჯგუფში შედიოდნენ: მალხაზ კოტორაშვილი, ალექსანდრე კოკოზაშვილი, დავით სიბოშვილი,ჯაბა ტაბატაძე, ზაზა ჩადუნელი, ტარიელ ყამარაული, თამარ და მედეა ლომიძეები, ია და ნათია ჩეკურაშვილები, თამარ ზითანიშვილი, ანა სამხარაული, ნინო გოგოლაძე, მარეხ ხაბელაშვილი, მარიამ ანუაშვილი, სოფიო ფეიქრიშვილი, მეგი კოკორაშვილი, მარიამ წამალაშვილი, თამარ ჩაჩანიძე, და თქვენი მონა-მორჩილი.

გადავლახეთ მდინარე იორი და შევუდექით გზას ჩოლოყაშვილების ყოფილი სასახლისაკენ, რომელიც ამჟამად საქართველოს საპატრიარქოს ეკუთვნის და სადაც მოქმედებს შესანიშნავი ტაძარი წმინდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედისა. მოვილოცეთ

ეკლესია, მისმა წინამძღვარმა მამა მიქაელმა გზა დაგვილოცა და ჩვენც გავწიეთ საქართველოს ერთ-ერთი სალოცავისაკენ, რომელსაც კაწარეთის სამება ჰქვია. ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ უძველეს ხანაში აქ კუხებისა და სუჯების ტომთა წარმართული რელიგიური ცენტრი იყო. გადმოცემით, ქართველთა განმანათლებელმა, მოციქულთა სწორმა ნინომ აქ მიაღებინა ქრისტიანობა კუხ და სუჯ მთავრებს და მათ ქვეშევრდომებს. ტაძარი V საუკუნის ისტორიული ძეგლია, სადაც წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალმა დაარსა საეპისკოპოსო კათედრა. ქართულ საეკლესიო იერარქიაში კაწარელი ეპისკოპოსი რიგით მეოცედ იხსენიებოდა.

სალოცავში დღის თერთმეტ საათზე ავედით. ჩვენს წინ გადაიშალა საუკუნეების ჭირ-ვარამ გამოვლილი ღვთის სახლი მთელი თავისი მშვენიერებით. ეკლესია ბაზილიკური ტიპის გეგმით წაგრძელებული სწორკუთხა ნაგებობაა. შესასვლელი სამი მხრიდან აქვს. ინტერიერი სვეტების 4 წყვილით 3 ნავად არის გაყოფილი. საშენ მასალად გამოყენებულია ოდნავ გათლილი ნატეხი და რიყის ქვა, თაღებისათვის – სუფთად გათლილი ქვის კვადრები. როგორც გაირკვა დროთა განმავლობაში ეკლესია რამდენჯერმე საფუძვლიანად გადაუკეთებიათ.

ტაძარში ორი ბერი ეწევა მსახურებას: მამა კირიონი (ონიანი), რომელიც ეკლესიის წინამძღვარია და მამა გრიგოლი (მესხი). მამა კირიონი საქმეზე გახლდათ წასული, სამაგიეროდ პატარძეულის მამათა მონასტრიდან სტუმრად იყო მობრძანებული მამა არსენი. ჩვენ ეკლესიაში ვილოცეთ, შემდეგ კი თვის წყალზე წავედით (თვის წყალი იმიტომ ჰქვია, რომ წელიწადში მხოლოდ ერთი თვე მოედინება). მამაოებიც გამოგვყვნენ, შემდეგ კი ისევ ტაძარში მიგვიპატიჟეს და გულითადი მასპინძლობა გაგვიწიეს. ერთად ვიტრაპეზეთ ეკლესიის ეზოში, შემდეგ სამახსოვრო ფოტო გადავიღეთ, დავემშვიდობეთ ბერებს და დავადექით გზას შინისაკენ. უკან ივრის ხეობის გავლით წამოვედით. დღის ექვსის ნახევარზე მშვიდობით დავბრუნდით სართიჭალის მთავარანგელოსების ეკლესიაში.